ოქმი N 8

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 29 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

მოწვევით ესწრებოდნენ: ზ. ბუკია, რ. ჩემია, ფ. გოგია, ლ. ღვინჯილია, ხ. თუთბერიძე, თ. ტურავა, ი. შონია, ზ. კუპრეიშვილი, თ. ბუკია, ბ. ხურცია, ლ. ჯაბურია, ნ. ბუკია.

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 აპრილის №03/1887 წერილის განხილვა:

- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 17 მაისის №05/2315 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 28 მაისის №03/2472 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის თაობაზე“;

- „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის თაობაზე“.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 23 აპრილის №03/1887 წერილის განხილვა:

- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და სამსახურის უფროსს სთხოვა წარმოედგინა აღნიშნული ანგარიში.

ზ. ბუკია - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - განმარტა, რომ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: საქმისწარმოების განყოფილება, საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. მან წარმოადგინა თითოეული განყოფილების მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ დასვა შეკითხვა, თუ როგორ ახორციელებს საქმისწარმოების განყოფილება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის შემთხვევაში კორესპონდენციის განსახილველად დადგენილი ვადების დაცვის კონტროლს, რაზედაც განყოფილების უფროსმა რ. ჩემიამ და სამსახურის უფროსმა ზ. ბუკიამ განმარტეს, რომ აღნიშნული დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, მაგრამ კონტროლი მაინც ხორციელდება კონკრეტული დოკუმენტების უშუალო გადამოწმების გზით. კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ ასევე დაინტერესდა, თუ როგორ ხდება ელექტრონული დოკუმენტების დაარქივება, რაზეც განყოფილების უფროსმა რ. ჩემიამ განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერჯერობით შესაბამისი სტრუქტურებიდან რეკომენდაციები არ შემოსულა. კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ წარმოადგინა წინადადება, ხომ არ წარმოადგენდა აუცილებლობას, მოქალაქეთა მომართვიანობიდან გამომდინარე, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, რეგისტრატურაში შესვენება ყოფილიყო გრაფიკით, ანუ მოქალაქეს ნებისმიერ დროს, ლოდინის გარეშე, შეძლებოდა მომსახურების მიღება, რაზეც განიმარტა, რომ ამ ეტაპზე ამის აუცილებლობა არ არსებობს. ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილებასთან მიმართებაში კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ წარმოადგინა წინადადება, მერის წარმომადგენლების

ადმინისტრაციულ ერთეულებში მიეწოდოს საქმისწარმოებისთვის ერთიანი ნიმუშის ფორმები, რაზედაც განყოფილების უფროსმა ლ. ღვინჯილიამ განმარტა, რომ მერის წარმომადგენლებს მიეწოდებათ ერთიანი ფორმის საქმისწარმოების ჟურნალები და ასევე განაცხადა, რომ დებულებით დაკონკრეტებულია მერის წარმომადგენლების უფლებამოსილებები. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიმართ კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას მხრიდან გამოითქვა მითითება, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებისა და მათ შესასრულებლად ღონისძიებების გატარების თაობაზე. კომისიის წევრების მხრიდან სხვა შეკითხვები არ დასმულა.

კომისიის წევრმა თ. გულუამ დატოვა კომისიის სხდომა.

კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ განმარტა, რომ კომისიის მიერ უნდა მოხდეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება. საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს როგორც არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი ან დადებითი. კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 0

დადებითი - 7

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

კომისიის სხდომა დატოვეს კომისიის წევრებმა ა. ხურცილავამ და გ. წულაიამ, სხდომას შემოუერთდა თ. გულუა.

- კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ სხდომაზე მოიწვია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის წარმომადგენლები და სამსახურის უფროსს სთხოვა წარმოედგინა ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სამსახურის უფროსმა ზ. კუპრეიშვილმა წარმოადგინა ანგარიში სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა მ. ფილიპიამ დასვა შეკითხვა, არის თუ არა წვევამდელთა მხრიდან გაწვევაზე თავის არიდების ფაქტები, რაზედაც ზ. კუპრეიშვილმა განმარტა, რომ თავის არიდების ფაქტები არის, თუმცა ეს არ აფერხებს გაწვევის პროცესს. კომისიის წევრმა თ. გულუამ დასვა შეკითხვა, თუ როგორ რეგულირდება იმ წვევამდელების გაწვევის პროცედურები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეცათ გადავადება. აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის უფროსმა ზ. კუპრეიშვილმა განმარტა, რომ გადავადების ვადის გასვლის შემდეგ წვევამდელები ხელახლა გადიან საექიმო კომისიას, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მათი გაწვევის ან სხვა სტატუსის მინიჭების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 0

დადებითი - 6

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 17 მაისის №05/2315 წერილის განხილვა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირებისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ", რომლითაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგულირდება გარე ვაჭრობა და დგინდება გარე ვაჭრობის უფლების საფასური.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში შესატანია გარკვეული სტილისტური შესწორებები, რომელიც შინაარსობრივ ცვლილებებს არ იწვევს. აღნიშნული განემარტა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: აღნიშნული დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 28 მაისის №03/2472 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის თაობაზე";
- „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის თაობაზე".

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა რომ „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის N1251-რს ორგანული კანონით გათვალისწინებულმა ცვლილებამ განაპირობა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებებში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რაც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი

ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულების სახელწოდების ცვლილებას, კერძოდ: „მერია“ - ნაცვლად „გამგეობისა“ და „მერი“ - ნაცვლად „გამგებლისა“ .

ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, წარმოდგენილ იქნა დადგენილებების პროექტები:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
3. „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილებების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ ხობში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია